სეკტემბრის 15-სა. წელიწადი პირველი. 1862 წელსა.

# გუთნის-დედა,

## მამულის-მოვლისათჳს.

ჴელი მოიწერება ტფი-ლისში.
ი. კერესელიძის სტამბაში.
ქუკიას, საკუთარს სახლში.

გამოიცემა ორკჳრაში ერთხელ. ფასი ერთის წლის გამოცემისა ვინც «ცისკარზედ» ჴელს აწერს ერთი მანეთი, რომელიც არ აწერს ორი მანეთ

«ცისკარზედ» დამატება.

ნ. 18

### ღონისძიება თუ როგორ უნდა მოსწყულას ანუ მოსწყჳტოს აბრეშუმის ჭია.

საქართველოს მებატონეთაგან, აქამდისინ იყო, მამულის მოვლის მართებლობასთან მიწერ მოწერა შესახებ აბრეშუმის ჭიის მოწყვლისათჳს. დღევანდლამდინ ჩუენი მე-მებატონენი, როდესაც ჭია პარკს გაიკეთებს, მომწიფდება და უნდა გამოიხვეს, გაფენამდენ ხოლმე მზეზედ, დასახოცავად, ანუ მოსაწყვლელად. ამ გვარი ღონისძიება დიდს ზარალს აძლევს მებატრონესა, პირველად ამისათჳს, რომ გვიან იხოცებიან და მეორედ, რომ ბევრნი იკარგებიან.

მამულის მოვლის მართებლობამ მისწერა უპირველესს საფრანგეთის აბრეშუმის ჭიის აღზრდაში დაჴელოვნებულს ოსტატსა, რომლისაგანაც მოუვიდათ შემდგომი ცნობა:

ყოველს ჴელოვნებაზედ უმჯობესია, ჰხოცავდნენ ჭიას წყლის ორთქლითაო. ამ გვარის ღონისძიებით ჭიაც მალე იხოცება და არცა დაკარგვის ზიანი ეძლევათ. ამისათჳს შედგენილია ამ გვართ იარაღთაგან ერთი უადვილესი, რომელიცა ძრიელ გამოდგება ჩუენს ქუეყანაში. მომართულება ამ იარაღისა არის შემდგომი: ჯერ პირველად ამოთხრილია იმ ნაირი ორმო, რა ნაირსაც სთხრიან არყის გამოსახდელად. ეს ორმო გვმსახურებს ცეცხლის შესაკეთებლად. ამ ორმოზედ დგას ქვაბი, რომელშიაც უნდა ჩადიოდეს სამითგან ოთხ ვედრამდინ წყალი,

ეს ქვაბი ზემოთგან მაგრათ დახურულია ხარფუშით, რომლის შუა გულიდგან გავალს მილი. ეს მილი შევალს ფიცრის შკაფში რომელიცა მოშორებითა დგას. ამ შკაფს, სიდიდე უნდა ჰქონდეს სიგანით ნახევარი, შუა გულ არშინ ნახევარი და სიმაღლე სამი არშინი. ამ შკაფში შედგმულია დაყოფილის ერთმანეთიდგან იაშჩიკები, რომელშიაც ორ სამ რიგათ აწყვან ჰარკები. ამ იაშჩიკების სიმაღლე უნდა იყოს ერთიდგან ორს ვერშოკამდენ. როდესაც წყალი ადუღდება, ქვაბიდგან ამომავალი ორთქლი მილიდგან დაიწყებს შკაფში შესვლას. ოცს მინუტს საკმაოა ჭიები ამ დგომარეობაში იყვნენ, შემდგომს რა იაშჩიკებს გამოიღებს უნდა გაფინოთ ათხს მინუტს მზეში, რომ სისველე წაუვიდეს, მერეთ გაშლიან ოთახში, ისე რომ ნიავმა თავისუფლად იმუშაოს ორ კჳრამდენ, ამის შემდგომს ისმარება გამოსახვევად.

## ტფილის ბოსტნეულისათჳს.

ტფილი ბოსტანი, რომელსაც რუსულად ეძახიან ჰარნიკს, არის ბოსტანში დადგმული გრძელი ყუთისავით ფიცრისაგან გაკეთებული, ფანჯრებით დასახურავი, რომელშიაც ჩაიყრება მიწა და სასუქი და დაითესება ზამთრით ბოსტნეული.

ჰარნიკი სამზვარეულოს ბოსტნისათჳს შემზადდების შემდგომის სახით: ვისაც ჰსურს, რომ იქონიოს ჰარნიკი, ჯერ უნდა შეამზადოს ცხენის ფეინი, (სასუქი) რომელშიაც უნდა ერიოს ნამჯა, სასუქი უნდა დააგროვოს ერთს ადგილს სანამ გახურდებოდეს. ტფილის ბოსტნისათჳს უნდა მოსთხაროს ორმო უდროს ადგილზედ. ნოემბრის დასათესად უნდა მოთხაროს ორმო სიგანე ორი არშინი, სიგრძე ოთხი არშინი და სიღრმე ერთი არშინი და ერთი ჩარექი. ამ ორმოში ჩაყაროს ზემოთ თქმული სასუქი, გაასწოროს ყველგან და დასტკეპნოს მალიან ფეხით; მერე ზედ დადგას ფიცრის ყუთი, შეკრული სიგრძით ოთხა არშინი, სიგანე ორი არშინი და სიმაღლე ექვსი ვერშოკი, და ჩასჭედონ მაგრად სასუქში და შეაყარონ გარეშემო ყუთს სასუქი რომ ყინვა არ შეუვიდეს. მერე ზედ ყუთზედ დაყარონ კარგი შავი მიწა ხუთს ვერშოკზედ, მერე დახურონ ფანჯრები, ჩარჩოები ფანჯრებისა არ უნდა იყოს განიერები, არამედ წვრილ თვლებიანი. მერე დაცლიან ორიოდე დღეს, სანამ მიწა გათბება; შემდგომ დასთესენ ანუ დარგვენ თესლებსა, როგორათაც თჳთეულს მცენარეზედ იქნება შემდგომ დარიგება. იანვრის ჰარნიკისათჳს უნდა ჩაყაროს ორმოში სასუქი ერთს არშინზედ, მიწა უნდა დაყაროს სუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თს ვერშოკზედ, პარნიკების ფანჯრები ხან-და ხან ცოტას ხანს უნდა აუქარვოს ხოლმე და მალიან არ უნდა დახურონ ნაბადის ჩული, რომ მცენარენი მალიან არ გამოიწვნენ და არ ჩაწვნენ. მიწის პირი ფანჯრებიდგან უნდა სამი ვერშოკის სიმაღლეზედ მაინც იყოს, რომ მცენარენი შუშის სიცივისაგან არ დაჭკნენ. ათიოდე დღეს ანუ ორ კვირას იქით უნდა პარნიკებში ცოტა ოდნათ ქარი გაუტაროს, დახურვით მალიან დახუროს, ამისათჳს რომ პარნიკი ცოტ-ცოტათ დაიწყებს გაცივებასა. პარნიკში მიწა ერთბაშათ ერთად არ უნდა დავაროს, სამჯერ ცოტ-ცოტა რომ თითო დავრაზედ მიწა შეთბეს. სადაც მიწა მალიან გაცხელდეს მიწა უნდა მოუმატოს და დაავაროს, რომ სიტფო გაუჯდეს ყველას ერთიანად. როცა სულ პარნიკი გაცხელდეს უნდა მიწა აუქექოს, რომ არ დაიწვას, ცოტა სიცხე გამოუშოს, და ფანჯრებიც, ორი თითის დადებაზედ აუქარვოს. რომ ბული გამოვიდეს. თებერვლის და მარტის პარნიკისათჳს უნდა ცხენის სასუქი ათის ვერშოკის სიღრმეზედ და მიწის დაყრა ხუთს ვერშოკზედ, სანამ დიდი ყინვა იქნება პარნიკის ფანჯრებზედ უნდა დახუროს ღამით ნაბადი, ფიცარი ან ჭილობები, დღისითკი დახურვა არ მოუნდება, უნდა ფანჯრები აუქარვოს და ბული გამოუშოს რომ მცენარეთ შეუვიდეს ახალი ჰაერი როცა კარგი უდროიანი მზე იქნება.

იანვრის ტფილს კვლებს აკეთებენ კიდევ სხუა ნაირად: 1) საჯინიბოდგან გამოაქუსთ ცხენის ფეინი, იმაში ურევენ უფრო მალიან სიტფოსათჳს ცხვრის სასუქს (ნეხვს) მველს ცხენის ფეინსაც ურევენ ახალში მესამედს, მხოლოდ დამპალიკი არ იყოს 2) ბოსტნებს აკეთებენ უდროს ადგილს 2) მიწას მოსთხრიან სიგანით ორს არშინს, სიმაღლით ერთს არშინს და ერთს ჩარექს, სიგრმე რაოდენიც უნდა იყოს. 4) იმ მოთხრილში ჩაჭერიან სასუქს და გაასწორებენ ორ თითითა, ამოავსებენ და ტკეპნიან, 5) მერე ზედ დაჭერიან შავს რბილს მიწას ოთხიოდე ანუ ექუსიოდე ვერშოკზედ 6) ამ გვარს გაკეთებულს კვლებს დააცლიან ექუს ანუ რვას დღეს, რომ სიცხე გაუჯდეს და გახურდეს, რომელიც იცნობება ხელის შეყოფითა ცხელია თუ გრილი მიწა, ამას კარგათ უნდა ვეცადნეთ, რომ არც ცხელში დავთესოთ და არც მალიან გაყინულში, თორემ თესლეული წახდება. 7) როდესაც კვლები საკმაოდ გათბება მაშინ კვლებს გარშემო უნდა შემოუტკეპნოს ამ სახით: კვლების ნაპირების კედლებზედ მიაყუდოს ფიცარი და ისე შემოუსწოროს კელის დატკეპნით; ასე რომ სამუდამოდ ფიცრების შემოწყობა არ მოუნდეს, ნაპირების შემოტკეპნის დროს ფიცარი მალიან არ უნდა მიაყუდოს სასუქსა, ასე რომ

სამი გოჯი უნდა დაუნარჩომოს ფიცარსა და სასუქს შუა, ის სამი გოჯი სივანე მიწით უნდა ამაავსოს და ისე კვლების გვერდების პირები შემოუტკეპნოს და შემოუსწოროს, ასე რომ ფიცარი აიღოს, სასუქის კედლები არა სჩანდეს, მიწით ჰქონდეს შემოტკეპნილი. ამ გვარად გაკეთებულის ბოსტნებისაგან გვექმნება მალიან ადრეული ზამთრის მწვანილი, კიტრი, ნესვი და საზამთრო. თუ რომ მალიან ყინვა იქმნება, სიფრთხილით უნდა დააფაროს კვლებსა ჭილობი: თუ ვინიცობაა მალიან გაცივდება და გაიყინება ტფილი ბოსტანი; მაშინ გარეშემო უნდა შემოაყაროს სასუქი თითქმის სამს ნეტვერტზედ, ერთის სიტყჳთ, უნდა შეუწყოთ კელი, რომ არც მალიან გავაციოთ ზამთრის ტფილი ბოსტანი და არც სასუქის სიცხით დავსწვათ. როდესაც უღრუბლიანს მზიანს დღეს ტფილს ბოსტანში დათესილებს უჩუჱნებთ, ან გადახდილი იქმნება, რომ ჩიტებმა არ ამოკრიფონ ანუ თესლები ანუ სხჳა ფერი არ წახდინონ, უნდა დაუგონ მახები ლურჯის მაფისაგან. ისე ეშინიანთ რომ ახლოს აღარ მიეკარებიან.

სია ყოველი ბოსტნეულის მცენარეთათჳს.

სამზვარეულოსათჳს ჩუჱნდა გამოსაზრდელად სახმარ არიან შემდგომთა მცენარეთა, ზოგი მირები, ზოგი ფოთლები, ზოგი ღეროები და თესლები და მწვანილი. ისეთი დღე არ გაივლის, რომ საჭირო არ იყოს სუფრისათჳს:

ბადრიჯანი.

ანისუნი.

საზამთრო.

მხალი, ხაჭიჭორა.

რეჰანი.

ლობიო.

მუხუდო.

მდგოგვი.

ხრენი.

ნესვი.

ტყის პილპილი.

მინდვრის მარწყვი.

კომბოსტო სხჳა და სხჳა.

კარტოფილი.

მჟაუნა.

ქინძი.

სალათა

ნაცარ ქათამა.

ხახვი.

ხაშხაში.

მანერუხი.

ბარცმენუკი.

სტაფილო.

პიტნა.

კიტრის ბალახი.

ოხროხუში, მაღდანოზი.

დანდური.

ზღჳს ვარდი.

სადაფა ბალახი.

ბოლოკი.

თალგამი.

ჭარხალი.

ნიახური.

ლილიფარა, მზე უჭვრიტა.

სატაცური..

ისპანახი.

ზირა, კვლიავი.

გოგრა.

კამა.

ვარდკაჭაჭის სალათი.

ქონდარი.

შავი კვლიავი, ზირა.

ნიორი.

სალაბი ბალახი.

ჰრასა.

ამ სიაში აღნიშნულნი ბოსტნეულები, ყოველივე მოვა, ვისაც უნდა ყველას მოიყვანს, ვისაც არა აქედგან რაც ნებამს გამოირჩევს და დასთესამს. შენიშვნა: 1) სადაც დაითესება აღარ გადაირგვიან: სტაფილო, ჭარხალი, ოხროხუში, მაღდანოსი, ჰრასა, დანდური, მჟაუნა, ისპანახი, ვარდკაჭაჭა, ლობიო, მუხუდო, ცულის ჰირა, ნიორი, ხახვი, და ამათი მსგავსი. 2) გადაირგვება ნიახური, სალათა, ნესვი და საზამთრო, გოგრა და ხშირად კიტრი. 3) შეიძლება სიფრთხილით გადაირგას: რეჰანი, ანისული, კამა, ქონდარი, კვლიავი, ზირა. მხალი, საჭაჭორა, სატაცური ერთის წლის შემდგომ. 4) მცენარენი რომელნიცა გადარგვის დროს სათუთნი არიან და არ უნდა შეეხნენ ფოთოლსა და ძირებსა სიფრთხილით გადაირგვიან, კომბოსტო, ნესვი, საზამთრო, გოგრა, კიტრი, თალგამი, დანდური, მარწყჳ. 5) ნიორი, დაირგვება კბილებით, რომელსაც შემოაცლიან ძირსა. ჰიტნა დაირგვის ახალი ძირებით, რომელსაც გაჰყოფს რაოდენადმე. კვლიავი, ზირა, დათესვით და უფრო ძირების გადარგვით. 6) მალმალ მორწყვა უნდა, სალათასა, კომბოსტოსა, თალგამსა ნესვსსა, კიტრსა ცოტა მორწყვა უნდა, ისპანახსა, ოხროხუშსა, მაღდანოზსა.

ილარ. რუსიევი.

(განგრძელება იქნება შემდგომში.)

## წყალმანკის წამლობა.

«მამულის მეჰპატრონეთა» გაზეთში ჰსწერენ წყალ-მანკის სნეულებისათჳს აირასა:» ამ დღეებში შევიტყევით იმ კაცე-

ზისაგან, რომელთაცა კარგათ ესმით ჰაქიმობა, წყალმანკის სნეულებისათჳს პირველი ღონისძიება არის ბალახი, რომელსაცა ჰქჳა adonis vernalis, რომელიცა მოიპოვება კლდოვანს ალაგს და რომელსაც ჩუენებურად ემახიან პიტოს, ამ ბალახსა ჰკრებენ შემოდგომაზედ, ახმობენ და სმენ ჩაის მზგავსად. გემო მწარე აქჳს. იმისი მოქმედება გამოჩნდება ამით, რომ მოჰგვრის ოფლსა. ამ წამლობაში ფარეზობა სრულებით საჭირო არ არის.»

---

დარიგება თუ ვითარ დავიცვათ თავი ელვა ჭექა ქუხილის დროს, როდესაც გვექადის მეხის ჩამოვარდნასა.

წარსულს «გუთნის დედის» **№ 17** ქვეშე, წავიკითხე უ. მიხ. ჩიგიანისა წერილი ელვის და ქუხილის მიზეზისა და მეხის წამალისა. პირველი საგანი ელვისა და ქუხილის მიზეზისა დაუტევე მის უფ. ჩ. გონიერებითს ჰაზრსა და გამსჯელობაზედ, ხოლო მეორე წამლობასა მეხისასა, მივაქციე უფრო მომეტებული ყურადღება, რადგანაც საჭიროდ ვრაცხ, რომ ვიცოდეთ თუ როგორი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ მეხის დაცემის დროს. უ. ჩ. გვარიგებს ასე: «მეხ-დაცემულისა, ადამიანი იყოს, თუ პირუტყვი ახლოს მეხის ჩამოვარდნისაგან გულშეწუხებული იყოს ვინმე. მაშინვე ასხან უწყვეტლივ ერთს საათსა მთელს ტანზედ ცივი წყალი, სანამ სიცოცხლის ნიშნები რამ გამოუჩნდება» ამის მეტს დარიგებას არას გვაძლევს. თუკი ერთის საათის მოუწყვეტლივ წყლის დასხმა არგებს მეხდაცემულსა, მივიყვანთ და როგორც უ. ჩ. ამობს თუნდა ერთს საათს შიგ წყალში ჩავსვამთ. ვგონებ, რომ ჩუენს საქართველოში ყოველთჳს იციან არათუ მეხ-დაცემულსა, არამედ ყოველთ გულშემოყრილთა ასხმენ მოუწყვეტლივ ცივს წყალსა, სანამ არ მოაბრუნებენ შეჭირებულთ, არ მოეშვებიან, მაშა სადამე უ. ჩიგიანის წერილი სრულებით არ გვიჩვენებს ჩუენ არა ვითარსამე სარგებლობასა. განა იმ ცივი წყლის მეტი მომზადება არა გვინდარა, როდესაც ელვა, ჭექა, ქუხილი გვემუქრება მეხის დაცემასა. მე აქ მხოლოდ მოკლედ ვიტყჳ, თუ როგორ უნდა დავიცოთ თავი იმ შემთხვეულებაში და როგორ უნდა მოვიქცეთ;

1) ელვისა, ჭექისა და ქუხილის დროს რაც შეიძლებოდეს უნდა ვიყვნეთ ტანზედ გრილად და არ შევოფლიანდეთ, რადგანაც ოფლის შეორთქლიანება, და სხუა ნივთნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუჱმორე მოხსენებულნი უმეტესად მოიზიდვენ მეხსა. **2**) უნდა გავფრთხილდეთ და ჭექა ქუხილის დროს გახურებისაგან, მუშაობისა, სირბილისა, ცხენით სიარულისაგან და სხჳათაგან არ გამოვიდინოთ ოფლი, **3**) იმ დროს ყოველივე ოფლიანი ტანისამოსი თუ რომ შეიძლებოდეს გამოიცვალოს და გრილად შეაფაროს სახლში. **4**) დახუროს ფანჯრები, იმ მხრით საიდგანაც ელვა არის, ხოლო მეორეს მხრით ნიავი შემოუშოს ოთახში. **5**) ყოველი სირბილი, ცხენით და ურმით სვლა. ზარის რეკა, ელვისა და ჭექისა დროს მალიან მავნებელნი არიან, ამისათჳს, რაც შეიძლებოდეს იმ დროს უნდა მოვერიდნეთ, **6**) არ უნდა შევეფარნეთ, მაღალსა, განცალკევებულსა ხეს ქვეშა, სანამეტნაოთ ფიჭჳსა და ნაძვის ქვეშა, **7**) უნდა ვიყვნეთ შუა ოთახში და არ შემოუშოს ოფლის მომგვრელი ნიავი. ე. ი. ცოტა ნიავი, რომელიც ჰატარახან კაცს შეატყობინებს სიგრილეს და შემდგომ წამოაყენებს ოფლს, **8**(ელვა ჭექის დროს, არ უნდა მრავალნი ერთად შეიყარნენ, რომ სიცხის ბულმა და ოფლის აორთქლებამა არ მოიზიდოს მეხი. **9**) უნდა მოვერიდნეთ ყოველს მეტალსა ე. ი. ოქროსა, ვერცხლსა, რვალსა და სხჳა რკინეულსა, ფეჩსა, კარების კლიტე რაზასა, კოჭაკსა, სარკესა, სკივრსა, გასაღებებსა, ტანზედ რკინის იარაღსა და სხჳა, რადგანაც გამოცდილებით მრავალთ იციან, რომ მეტათ მომზიდველია მეხისა. **10**) მუქარების დროს მეხისა, არა დროს არ უნდა მიუახლოვდეთ, ცხვრებსა, ნახირსა და სხჳა შინაურს ოთხს ფეხსა, ესენი მალიან საშიშარნი არიან ელვა ქუხილის დროს. **12**) მოვერიდნეთ საგუბარსა, წყალსა, ამისათჳს, რომ წყალი და მეტალი (რკინეული) მრიელ მოგზაური არის მეხისა, და წჳმით ტანის სისველეც. **12**) არ უნდა მივეყუდნეთ შენობასა და სვეტებსა, არამედ გრილად, ნელნელად მივმართოთ შუა გულს სახლში. **13**) თუ რომ მეხი დაეცეს სადმე სახლის კუთხეში, მაშინათვე არ უნდა სიჩქარით მივვარდეთ იმ ადგილს, ამისათჳს რომ მომხდარა, მეორეთ ჩამოვარდნილა იმავ ადგილს მეხი და **15**) რომელსაც მეხის დაცემით იქნება კაცი გულშემოყრილი, მაშინ სხეული მისი შეიქმნების შერყეული და ფრიად დახუსტებული, სისხლი მსწრაფლ წარმოადგების თავში, დაჰკარგავს სუნთქჳასა, და იქმნება გულშეღონებული გოგირდისა დ მჟავეს ნახშირის მზგავსად თავ დაჭერილი გაოგნებული, ამისათჳს უნდა მაშინათვე ვასხათ წყალი, უჩუჱნოთ ახალი გაწმენდილი ჰაერი, კისრის მარღჳდგან მცოდინარეს დალაქით გამოუშოთ სისხლი და დავაკრათ გულზედ დამამწიფებელი მალამო, ქაფურ გა-

რეული. 1) უნდა ასუნებინოს ცხარე სპირტი ანუ ცხარე მმარი, ყოველი სხეული ტანისა, სანამეტნაოთ ზურგი უზილოს ღჳნოში დასველებულის ტილოთი და თუ იყოს მოუწოდონ აქიმსა. (*)

აგრეთვე იმავე წერილის № 17 ქვეშე, წავიკითხე უ. ნ. პაულისა, მომზადებისათჳს სამის ფეივანადის მალამოებისა. პირველს მალამოს არ ახსენებს, როგორ და რაჲსათჳს არის სახმარი, მეორე მალამოსათჳს სწერს ისმარეთ ფეივანადის და დაშავებული ფეივანადისათჳსო. მე მალიან მაკჳრვებს ეს ფეივანადის სახელი, ნეტა ქართულად რას უნდა ნიშნავდეს, მე არ მესმის ესეცა, რომ ნეტა ამ სამს მალამოს ერთი თჳსება და გამოსადეგობა აქჳსთ თუ სხუა და სხუა? თუ ვიფიქროთ, რომ ხესილის ხეების მენობის დროს წასაცხებელი მალამოა, მონაჭერი ხეების პირების გასამრთელებელი, შემახორცებელი და შემადუღებელი, ანუ ხეების მოტეხილებისა და დაჭრილობის წამალია, სწორედ ისე იქნება; მაგრამ მე ვიჭვნეულებ, ამისათჳს, რომ წყალმა იცის ჯერ სათავიდგან დაიწყობს და მერე ბოლოში მიდის, ფიცი მწამს და ბოლო მაკჳრვებს! თუ რომ «ცისკრის» ჟურნალში რაჲმე იყო უ. პ. ლაპარაკი იმ მალამოების ხმარებაზედ, მე არც ეს ვიცი, ამისთჳს, რომ მე მარტო «გუთნის დედას ვკითხულობ.» განათუ უ. პ. წერილს ვიწუნებ და განკიცხა მსურს, რაც შესაძლებელ იყოს უნდა ერთმანეთის სწავლა და გამოცდილება გავაგებინოთ ცხადად და მარჯჳს აზრით.

ილ. რუსიევი.

---

(*) მალამო უნდა გაკეთდეს ასე: მოიტანე თეთრი მარადულის საპონი, დაფხიკე წმიდათ და ჩაყარე რძეში, გაქენ სქლად, და ქაფურიც ჩაფხიკე შიგ, წაუსვი ტილოს მზვარზედ და დააკარ გულზედ.

Одобрено Цензурою. Тифлисъ. 15 Сентября. 1862.

რედ. კერესელიძე.